K 22167
1

ეროვნული სიმღერები

ნოსტორ მაღაზონია
821.353.1-1
Თ 201

ᲠᲣᲥᲐ ᲡᲘᲪᲮᲐᲒᲣᲚᲘ

K 27737/1
K 82167/1

გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1976

№
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
AKARI AVTONOMIU RATUSI PUBLIC LIBRARY
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲘᲛ. Ა. Ს. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ
АВТОНОМ. АССР
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲘᲛ. Ა. Ს. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ
АВТОНОМ. АССР
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г-2
З-201

წიგნში თავმოყრილია პოეტის მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილი ლექსები. ცალკეულ რკალებად წარმოდგენილი პოეტური ნაწარმოებები ეხმიანება ჩვენი ცხოვრების ნათელ დღეებს, თავდადებული შრომის მძლავრ რიტმს, დიდი სამამულო ომის ტკივილებს.

წიგნში გარკვეული ადგილი უჭირავს სატრფიალო მოტივს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია სათქმელისადმი პოეტის უშუალო, გრძნობიერი დამოკიდებულება.

© გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1976.

М $\frac{70403\text{-}011}{\text{М } 621\ (08)76}$ 10-76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესუთე სიჭაბუკე

მძიმე ხვედრი

ერთი სოფლელი ბიჭი ვიყავი,
მიწა მეგო და ცას ვიხურავდი.
შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავი,
უნდა მეთოხნა ნაჯისურალი.

სახლში წილად მხვდა, როგორც ბეგარა,
თიკნებისა და ხბორების მწყემსვა,
ყანაც მეთესა, ბაღჩაც მებარა,
ღამე არსენა მეკითხა ლექსად.

ოჯახს უძღოდა მამა ფუხარა,
ნაყმევი გლეხი სვედათალხული,
გურიელს ქედი რომ არ უხარა,
ბევრჯერ ნაცემი და გალახული.

მეხსიერების შემორჩა ეკრანს
ახლაც თვალწინ დგას სალოცავ ტაძრად
შრომით და წლებით მოხრილი ეკა
თავის შვილებით — ცხრაივე და-ძმა.

დედა ულექსოდ თუ ვერ გაძლებდა,
უფრო სიმღერა უყვარდა მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახს ეს ორი რამე აძლევდა
სიღატაკის და ნაღველის წამალს.

ნავახშმევს ვთმობდით სუფრის აღებას,
ჩონგურზე ცვლიდა სიმღერას ლექსი,
არ შეუქმნია მგონი განგებას
იმათზე მეტი მადლი და ეშხი...

ან სხვა რა ნახეს მთელ სიცოცხლეში?
ჰეი, მშობლებო,
ტკბილო მშობლებო!
ამ დღის ნატვრაში დალიეთ სული,

და არც თქვენ გერგოთ, დაო და ძმებო,
დღეის ცხოვრება ვარდ-მაისური,
უბერებელი მზით დაისრული!
თურმე რა მძიმე ხვედრი ყოფილა,

რა სასჯელია ბოლოდ რომ რჩები,
რათა ბედნიერ სოფელს მოჰფინო
თქვენზე სიტყვა და ალალი ცრემლი —
უკანასკნელი პატივი ჩემი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი დედა

იწვის ორი სანთელი —
მშობელი და აღმზრდელი.
დღის და ღამის მთეველი,
ზრუნვა დაულეველი
დედაა და დედა!
თქმულა დედის ლოცვასო
დიდი მადლი მოსავსო,
დედა როცა დაწყევლის,
დედის ძუძუ ლოცავსო,
აღმზრდელიც ხომ ასეა —
სიყვარულით სავსეა.
მასწავლებლის ამაგი
ხომ სითბოა მარადი.
ო, დიდება თქვენდა!
დედავ — დამბადებელო,
დედავ — მასწავლებელო,
დედავ — დედის თანაბრად
გულით სატარებელო,
ო, დიდება თქვენდა!
ო, მადლობა თქვენდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვალის იმედი

გაზაფხულზე, მწვანედ გაშლილ ტყეში,
სადაც იდგა სურნელი და დარი,
ხეთა ჩრდილში, ლორთქო ბალახებში
ძლივს მოჩანდა ძირკვი ცოცხალ-მკვდარი.

დრო იყო და ხე არწევდა ღრუბელს,
მის ტოტებში ბუდე ჰქონდა არწივს,
მერე მოჭრეს და ისე დაღუპეს,
რომ ხის ნარჩენს სულ ათოვს და აწვიმს.

ფიქრში წასულს გულზე დარდი კორტნის,
მაგრამ, ხედავს უსიცოცხლო თვალით
ძირკვზე ნაყარს გაუღია ყლორტი,
ეს ნიშანი და იმედი ხვალის.

და ახარებს ეს ნაყარი ჩვილი,
დუყში ჩადგა სიხარულის ცრემლი:
— ოი, შვილი, ოი, შვილიშვილი
სიცოცხლე და მომავალი ჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარესთან

მთიდან ჩამორბის ზათქით, ხმაურით,
აცოცხლებს ტყეებს,
მინდორს და ჭალას
ყანებს ჩაუვლის,
ბაღებს ჩაუვლის,
ფესვებში გზავნის სიცოცხლის ძალას.
მერე ქალაქთან,
სოფლის განაპირ,
დაეჯახება კაშხალს და მილებს...
და ნათურების მწყობრი ბანაკი
სოფლად სინათლეს შეარბენინებს!
ოი, მდინარევ!
შენი ეს შემშურს...
თავს ბედნიერად ჩავთვლიდი,
თუკი
მშობელი ქვეყნის დიდ სინათლეში
ჩემიც ინათებს პატარა შუქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბვიანი შემოდგომა

ბარის ჭალებში ჭალიკონია,
ქრის და არაფერს ინდობს.
ღრუბელს რამდენი წყალი ჰქონია,
აწვიმს ტყესა და მინდორს.

უკვე მოთოვა მთის მიდამოში,
ხევში გუგუნი ისმის.
ნელა ეშვება თეთრი სამოსი—
ფენა თოვლის და ნისლის.

და ეს სითეთრე,
ზამთრის ტაროსი
უცნაურ ფიქრებს მიშლის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი

ეს წელიც გაივლის
ოქროსფერ საფეხურს
და მიადგება კარებზე ზამთარს,

მოიწყენს ყვავილი
და მზეს შეაფერხებს
გარდაუვალი დინება ჟამთა.

მაგრამ მზე მზეა და
ცას უვლის ზვიადად,
იცის, ხელთაა სავალი დროთა.

იცის, კვლავ იელვებს,
იებს და იელებს
მწვანით და ყვავილით მორთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასამხელი

ხევი, ხევი,
მთა და მთები,
აღმართები, დაღმართები.
ქარაფები დაფატრული,
ჩანჩქერების ტაშ-ფანდური,
მთა-მთა, ხევ-ხევ გაფანტული,
საკოცნი და მოსახვევი,
სამღერი და მოსალხენი
სახლები და მოსახლენი.

მე ამ მთებზე,
ამ კალთებზე,
ღამენათევ აღმართებზე
ისევ მინდა ღამე ვტეხო,
რომ ფიქრების ხმათა ექო
კლდიდან კლდეზე გადავჩეხო
და ვთქვა ჩემი გასამხელი —
ლექსი გულზე დასახლელი...
მე არც მინდა სხვა სახელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა მამათში

ნისლიანია ჩემი სოფელი —
ნისლი აქ მხოლოდ სიმაღლეს ნიშნავს! —
ყოველი დილა ღიმილმომფენი
მზის მოლოდინში დაფეთქავს ჭიშკარს.

ეჰე, მობრძანდი, მზეო მაღალო,
დევის პეშვებით დაყარე ოქრო,
რომ ნარინჯების ბაღი ახარო,
ჩაის დაასხა დუყები ლორთქო!

გვიან ღამდება მწვანე სერებზე,
ადრე თენდება,
ყველაზე ადრე.
ნისლის ქულები ბამბის ცერებზე
მზით შეფერილი მიდიან ცამდე.

ნისლი შეერთვის ღრუბელს სადაროს,
როგორც სოფელი შეერთვის მამულს,
ნისლსაც ჩემი მთა ისე ატარებს,
როგორც მამული სინდისს და ნამუსს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარი

დუმილისფერი იყო ის ღამე,
დუმილისფერი, რადგან
არც მთვარე ჩანდა,
არც მზის სალამი
და ცაც სიჩუმეს გავდა...
როგორ მაამე,
როგორ მაამე,
მენატრებოდი რადგან!

თურმე კვნესოდა ჩემი სვეტედი
ღრმა და უჩუმარ ძილში.
შენ რომ არ დამსიზმრებოდი,
ვიცი, მომკლავდა შიში.
გმადლობ.
თუ ცხადში ვერა, ვერ მოდი,
არ დამივიწყე ძილში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯავრი

როცა დუმს ბინა და ქუჩა,
როცა თავს ვითავისწინებ,
გგონიათ, წამსვე თვალს ვხუჭავ
და უდარდელად ვიძინებ?

არა!
გონება ნათდება,
აღადგენს დღიურ გარემოს,
და მიდის გასამართლება, —
სინდისი თავმჯდომარეობს.
იწყება გვემა ქაჯური:
— ვის?
— რატომ?
— როგორ?
— ოა ვქენი?
მესევა ასი მსაჯული —
ფიქრები — მოსამართლენი...
გავმართლდი?
ტკბილად ვიძინებ —
თავი კაცურად მჭერია!
ვავმტყუნდი?
მე შურს ვიძიებ —
და ძილი არ მიწერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციხართან

ზღვის პირას ვხედავ ნაციხარს,
ახლა ქვებად რომ ყრია.
— ამიხსენ, ძველი კაცი ხარ,
აქ რა, სულ ჰყვავის ია?

მოხუცმა თავი ასწია,
კითხვაც ეამა თითქოს:
— თამარი მდგარა აქ, ძიავ,
პირმზე — თამარი თეითონ.

რა დრო, რა ხანი დასძლია!
ახლაც სულს და გულს გვითბობს...
სახელი დიდი განძია,
მაგრამ დიდ ფასსაც ითხოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ხმა

სოფელი ცვალა სოფელმა,
მთა ცვლიდა მთას და მაღლობს.
მამათში ვართო, შოფერმა!
— ოჰო, მოვსულვარ, გმადლობთ!
ბოლო აღმართიც ავკეცეთ,
დაცხრა მანქანის ქშენა,
და ყური მოვკარ ვაკესთან
დედის ხმას:
— შენ ხარ, ნენა?
— ჰო, მე ვარ!
რამე კიდევ თქვი,
კიდევ მითხარი, დედი,
დღეს რა კარგ ფეხზე ავდექი!
მაგრამ, გეტყობა, სწყრები.
არ მიჭამია სირცხვილი,
რატომ დაღვრემილს მხედავ? —
შენ რომ დაგვზარდე, იმ ცხრიდან,
მარტო მე დავრჩი, დედა...

№ _____
ARAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი გულის სიმღერა

ჩემი ცხოვრების ბილიკს მივყვები,
არ ვიცი, სად და ვისთან გამიყვანს,
მაგრამ ეს ვიცი — სადაც ვიქნები,
ყველგან ერთგული მეგობარი მყავს.
ჩემია მიწა, მთა და ბორცვები,
ბაღი, ვაკეს რომ ფარავს ნარიყალს.
ყველგან ნანატრი და ნაოცნები
მჯერა, ერთგული მეგობარი მყავს.
ამ ქვეყნის ეშხი ვის არ დაატკბობს,
და თუ მისი ცა ღრუბელს გადიკრავს,
ვერც მაშინ მნახავთ ეულს და მარტოს —
რადგან ერთგული მეგობარი მყავს.
მე ეს იმედი თან დამყოლია:
თუ ოკეანე გაღმა გაბრიყავს,
თვით ბორდეიზე, ასე მგონია,
ვიღაც უცნობი მეგობარი მყავს.
ნუ ჩათვლით თავის ქებად და კვეხნად —
ერთი ზედმეტი სიტყვაც არ მიყვარს.
წელგამართული დავალ ამ ქვეყნად:
ყველგან ძმა მყავს და მეგობარი მყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

I-82167

I-27737

ჩემი ყვავილნარი

ჩემ ყვავილნარში
კვლავ იშლება უცხო ყვავილი,
მამულიშვილის
ნაზი ხელით გამოყვანილი.
ბაღჩა ისე მაქვს
მოვლილი და ნასათუთევი,
როგორაც მაშინ,
სიყვარულს რომ ღამეს ვუთევდი.
ხშირად ვნახულობ
მე იქ ყვავილს დილაადრიან,
თანაც ვიგონებ
ვის გულზედაც ის მინატრია.
ყვავილი წამით
შეათრთოლებს მზეწარევ ცვარ-ნამს
და ჩემი ცრემლი
დამისველებს სიბერის ვარამს.
მე ვუვლი ყვავილს —
ავაცილო თოში და ჭირხლი...
და ნუღარ მკითხავთ —
რად მჭირდება, რა თავში ვიხლი!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ა. ბოსტანიშვილის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა
№ _____
AKAKI TSEREVELI BATUMI PUBLIC LIBRARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაივიწყოთ!

ყოველ ახალ წელს იღვიძებს ცეცხლი,
კერიაზე რომ ძველად მიხილავს,
წარსულს მაგონებს და ველარ შევცვლი
ჩემი ბავშვობის გობს და ჩიჩილაკს.

გობი ჭვარტლიან კუთხეში იდგა,
ზედ ეწყო მთელი სიმდიდრე ჩვენი,
და ჩიჩილაკი კაპარის ხისგან
ლოცვას ითხოვდა ბასილის წვერით.

დალოცვა! მამის ოხვრა და კვნესა.
უხმო ნატვრა და ოცნება ჩემი.
ტუჩებზე თითქოს მაჩნია დღესაც
დედის მდუღარე კოცნა და ცრემლი...

და როცა ნაძვის მოკაზმულ ხესთან
გობ-ჩიჩილაკი დადგება თვალწინ,
შევხედავ ბავშვებს და მინდა ეს ვთქვა:
— არ დაივიწყოთ მამების ღვაწლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩინონი

მე წავიკითხე ისტორიის ბევრი ფურცელი —
მაკედონელიც,
ბონაპარტეც,
პეტრეც,
თამარიც...
და ყველგან ასე, ამ რჩეულთა სია უცვლელი,
მაგრამ უჩინო შემოქმედი არსად არ არის.
ვისი სახელიც ისტორიას არ შეუნახავს,
ვინაც სამშობლოს სიყვარულში ჭრაქივით ჩაქრა,
ვინაც ქვეყანას გვირგვინებით არ დაუმარხავს,
რადგან წარსულმა ავბედითმა ჟანგივით დახრა
და ვერ მოესწრო ჩვენი ქვეყნის ნათელ ალიონს, —
დღეს მე იმათი სადღეგრძელო მინდა დავლიო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად გოგმანობ?

ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე,
ვის უბეში გძინავს დამე?

ხალხური

ამ კორტოხზე სხვა სახლია,
სხვა ჭიშკარი, ბაღი, ბაღჩა,
მაგრამ სახლთან რომ ცაცხვია,
როგორც იყო, ისე დარჩა;

ქვეშ ნოხივით კოინდარი,
ჩრდილი, სიო, წაბლის ძელი...
მსოლოდ ერთი არსად არი —
არ ჩანს გოგო მასპინძელი.

სად გოგმანობ, ჩემო გოგოვ?
ხომ არ დასდევ ისევ პეპლებს?
მე მოვხუცდი...
მერე როგორ,
გავგაღარდი, დავიფერფლე...

მაგრამ მახსოვს თვალთა სხივი,
ჟოლოსფერი კაბა, ყლალი,
და კვლავ გულში ცეცხლი ღვივის,
როგორც ფერფლში ნაკვერჩხალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყმაწვლის რამაშა

რამაშა და რამაშა,
გოგო გამეთამაშა.
კოცნა ვთხოვე, არ მაკოცა,
ცივი წყალი დამასხა.
გამაწბილა. რაი მერე,
წავედი და წავიმღერე —
რაშოღდილა რამაშა,
ჰე-ე-ე...

გზას გავყევი კიდე-კიდე,
ჩანთით ლექსი გადვიკიდე,
სახურეკინო არა მქონდა —
ვერ წავართვი ვაჟასა.
ვერ წავართვი, რაი მერე,
წავედი და წავიმღერე —
რაშოღდილა რამაშა,
ჰე-ე-ე....

გავბედე და ვუთხარ ლექსად.
გამიღიმა, მაგრამ ეს თქვა:
— ბიჭო, რას გადამეკიდე?
დამიხედეთ ამასაო!
არ წამოვცდეს რამე კიდევ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ვეტყვი მამასაო.
მეც ეს მინდა, რაი მერე,
წავედი და წავიმღერე —
რაშოვდილა რამაშა,
ჰე-ე-ე....

დავიწვი და დავიფიქე.
მოდი, გოგოვ, წამასა,
შენ რაც გინდა ის იფიქრე,
მე გთხოვ გულის წამალსა:
ცოლად მინდი, განა ისე,
სახლი გამიდარბაისლე,
ჩემს ეზოში იკისკისე
ჩემი გულის თამაშად,
შენც იმღერე, მეც მამღერე —
რაშოვდილა რამაშა,
ჰე-ე-ე....

კიო თქვა და ცა გამიღო,
მიწა გამიკაშკაშა.
ის დედიკო, მე მამიკო,
აბა, რა სჯობს ამასა!
რვა გოგო მყავს კაბაჭრელი,
ცხრა ბიჭი მყავს ულვაშა,
ნათელია სახლის ჭერი,
ბედნიერი ვარ და ვმღერი —
რაშოვდილა, რაშოვრერი,
რაშოვდილა რამაშა,
ჰე-ე-ე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე სიჭაბუკე

ოთხმოცი! რამდენი წვა და ყვავილია,
ოთხი სიჭაბუკის ოდენა და კბილა!
ეს წლები ნამუსის ქუდით გამივლია,
წინაა მეხუთე სიჭაბუკის დილა.

პირველი ოცწლედი — ყმაწვილობის შფოთი.
ხმელა მჭადისა და ქალამნების წლები.
სკოლა და ანბანი, შეგირდობის შოლტი,
ხაინც სიყმაწვილე... და მეც აღარ ვწყრები.

მეორე ოცწლედი და პირველი ომი,
ფრონტი და შაშხანა, ვარშავა და ბზურა.
მეფე და მეფენი, წყობანი და დრონი,
მიწა და ოჯახი — ქოშები და ზრუნვა...
უკვდავი ბელადი. ხალხი დროშას იცვლის.
წითელი ხანძარი — დრო და ტახტი იწვის.
მერე განახლება ჩვენი ცის და მიწის...
ხალხმა შრომაც იცის, ქვეყნის მართვაც იცის.

მესამე — ფაშისტურ ჯოჯოხეთის პირად,
ბევრი სიმწარე და შეუმშრალი ცრემლი...
მაგრამ საზოგადომ აქაც სძლია პირადს,
გამარჯვების ზეიმს შეუერთდა ჩემიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე — ნოემბრის ღრუბელი და ფერი.
უხვად მოთოვილი ჩემი მთაც და ბარიც.
მაგრამ გული ისევ ჯეელივით მღერის,
სულიც უწბილარი და უტეხი არის.

ოთხმოცი! ეტყობა კარგად გამივლია —
ჭაბუკობასაც ჩავამღერებ ტკბილად.
აბა, მეექვსემდი რაღა მანძილია!
სალამი, მეხუთე სიჭაბუკის დილავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ხარ, ლენინ!

დიდო ლენინ!
როგორც ბრძოლის,
ისე შრომის სათავეში
შენ იყავი.
შენი სიბრძნე
შენს პარტიას გადაეცი.

სანამ დროშა მეწამული,
შენი დროშა წითელფერი,
ჩვენ არ გვქონდა არც მამული
და არც დიდი ოქტომბერი.

დაილოცოს ის აპრილი,
იმ აპრილის ასი წელი,
შენ რომ იშვი, ხალხის მხსნელი
და ეპოქის მასპინძელი!

აპრილის ნიშნ'ს შემოჰყევი
ვარდ-ყვავილით შემმოსველი.
შენ მზე'საკენ მზე ხარ, ლენინ,
მაგრამ მზე ხარ ჩაუსვლელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეზოვე

თოვს, ქარია თუ დელგმა,
თუ მზეს ირმები სძოვენ,
ფხიზელი დავალ დღე-ღამ,
ვით კარგი მეეზოვე.
ვნახულობ ხიდს და ბოგირს,
გზას არც ამაოდ ვტკეპნი:
ვიცი, სიამეს მომგვრის
ჩვენი შრომა და ტემპი.
ვიცი, სილაღე მთათა
მზესაც ახარებს ცაზე,
ჩემი სამშობლოს კალთა
ვარდებით არის სავსე.
ჰოდა, მამულო — დედავ,
დედის გულივით წმინდავ,
მე შენს სამსახურს ვხედავ
ჩემი სიცოცხლის მიზნად.
შენს ბედნიერ დღეს ვიყოფ —
ეს დიდი ბედი ვპოვე,
ვარ და კვლავ მინდა ვიყო
შენი მხნე მეეზოვე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისს

რა ხანია შენთან აღარ ვყოფილვარ,
შენი ნახვის ნატვრით ავადმყოფი ვარ.
არ მინახავს ცვარნასვამი დილის მზე
დროშასავით აშვებული თბილისზე.

რა ხანია მტკვრის დუდუნი არ მესმის
ვარსკვლავებით გადატვირთულ ღამეში.
არ მინახავს დიდებულთა საფლავი,
არ მსმენია იმათი ხმა მწაფავი.

არ მინახავს მთაწმინდის გაზაფხული,
არც მგოსანი მესამედ დამარხული.
არც, როდესაც რამე ფიქრი ქუფრია,
ილიასთან აღარ მისაუბრია.

როგორ მიყვარს,
განთიადს რომ მოისხამ!
ახალი დღის გამარჯვებას დაწინდავ...
დილა შრომის
და დილა მშვიდობისა,
საყვარელო თბილისო და მთაწმინდავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულის ჭრიამული

დოდან დომდე მთელი გამა
ველს მოედო ბეპლებად —
არ დაღონდე, ეს ცა განა
მართლა დაიფერფლება!

იტკარცალეს, იგბახჭახეს
გუგულმა და შაშვებმა.
სიო არხევს ნაზ ბალახებს,
ცვარნამს ეთამაშება.

ღია კვირტებს —
მწვანე ფიქრებს
ქება უთხრეს მერცხლებმა.
ხარობს ბარი გულდამთბარი,
იადონი ვერ ცხრება.

ეს მამულის ჭრიამულის
ბუკია და წინწილა,
დაე, მთელ დღეს
ასე ყღერდეს
ვარდისა და მზის დილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაში თქმული სადილაო

უფრო ასწიეთ ეს ცა ლურჯი —
მოხატული თეფში!
ლექსი ხმის და ზომის ურჩი
მინდა ვჭექო მთებში.
ავტოა თუ მეტეორი, რომ დაეშვა ხევში!
ცა-ფირუზი დამტვრეულა ზურმუხტოვან მთებში,

მზეს უცინის ადრეული ცვარდაყრილი ეშხი,
ვერც ჩანჩქერში დატეულა ეს ხატული თეფში.
უფრო ასწით მთის სარკეული — ოპიზარის თეფში!
სხვა ლექსი მაქვს,
სხვა სათქმელი პოეზიის მთებში!

მინდა სიტყვა
თავაშვებით ატყორცნილი ცამდე,
შიგ ვარსკვლავი თამაშობდეს,
მზის სიცილი ჩანდეს,
გული წრფელი, აზრი წმინდა —
მთის ცვარივით წმინდა,
სადილაო სიტყვა მინდა, დღეს ვიმღერო მინდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაშოვ რინ'და, დილ-დილ, აუ!..
აგუგუნდა ექო.
ლექსი, ლექსი, სადილაო
მთაში უნდა ვჭექო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელო დედავ

თუ, როგორც რვალი, ისე გავმაგრდით,
მტერმა ჩვენს ბაღში ვერ შემობედა,
ეს შენი ღვაწლით,
შენი ამაგით,
ცხრა დევგმირ ძმათა მშობელო დედავ.
თუ არ გველევა ლექსის მარაგი
და საქართველოს ვუმღერით მხნედა,
შენი ღონეა,
შენი ამაგი,
დიდი რუსთველის მშობელო დედავ.
თუ სიხარული გახდა მარადი,
ქართულმა მიწამ მზე დაიბედა,
შენი ღვაწლია,
შენი ამაგი,
თამარის მოდგმავ, ქართველო დედავ —
პატიოსანო,
მანდილოსანო,
ვარდით მოსილო,
ვარდით მმოსავო,
მზეადრიანო,
რძემადლიანო,
ქართველო ქალო, ქართველო დედავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფსას აჰყევ

სუფსას აჰყევ, ხიდს და ბორანს
მერე-მერე მოუვლი.
ზორს მთებია, ახლოს გორა,
გორაბერეჟოული.
ზღვა დაბლობზე ნახატ კუნძულს
თვალს შეაგლებ წამისად:
დგას გორაკი — ცალი ძუძუ
ბეგელი ამორძალისა.
ვინ აშენა ეს მიდამო,
ეგოთეირი და კედელი,
საბრძოლო და საწმიდანო,
დღე-დამ დაუკეტელი?
გორა დგას და...
არ ცრუობდა,
დროის მადლი იცოდა:
ლოცვა იყო — ლოცულობდა,
ბრძოლა იყო — იბრძოდა.
მერე, როცა განთიადმა
ცეცხლის ფრთები გაშალა,
აქ ლამპარი ანთია და
ნათელია ეზაშარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვა

ზოგჯერ წყნარია და ზოგჯერ ავი,
ხან მორჩილია, ხანაც ურჩია.
შავი ზღვა!
განა მართლაა შავი?
არა!
ის ლურჯი, მუქი-ლურჯია!

მაგრამ ეს კია:
თუ ვინმემ სცადა
ჩვენს ქვეყანაში სამტროდ შემოსვლა,
წამსვე აიტეხს ზათქიან ავდარს,
განგაშით ავსებს გარეშემოსა.

ავკაცნი შიშით უკუქუსლავენ,
ვინ ნავს მიმართავს,
ვინ ტივს
და ვინ გემს...
ჰკითხეთ „გებენს“ და
ჰკითხეთ „ბრესლაუს“,
ჰკითხეთ სისხლიან კაიზერ ვილჰელმს!

აზვირთებული არვის დაინდობს,
ხალხთა ძმობა და მშვიდობა თუ სძულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმღერს მშვიდობას
და მზეს ადიდებს,
ვაზსა და ნარინჯს აწოვებს ძუძუს.
შენ გაგიმარჯოს, ზღვავ კუნთმაგარო,
ზღვაო მშფოთვარევ და უშიშარო,
დიდო მოკეთევ და ამაგდარო,
ჩემი სამშობლოს გზავ და ჭიშკარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი ზღვაზე

მიწა ვარდ-ყვავილია,
ზღვა — წყნარი და ჩუმი,
მთვარე ოქროს ღილია,
ზეცა — აბრეშუმი.

ვარდზე ბროლის ცვარვაა,
ბაღში — ჩრდილი ხეთა,
ზღვაზე ნისლის ფარაა
მოფანტული თეთრად.

სიო კოცნის კვიპაროსს,
შეწყდა ზვირთის თვლემა.
მთვარე არ მოიპაროს
განთიადის ჩქერმა!

მერე ღამე თეთრდება,
და სინათლით სავსე
ჩვენი დილა თენდება
ჩვენი ქვეყნის ზღვაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვისპირეთი

ზღვისპირეთო, შენს ხელშია
ნარინჯის და ჩაის ბედი.
ქოპულეთს და ხელვაჩაურს —
სალამი და ალავერდი!

თქვენ გვაცოცხლეთ,
თქვენ გვამღერებთ
შუახევით, ხულო-ქედით,
თქვენს მთა-სერებს,
მზეს და ფერებს,
თქვენს სიყვარულს შევაბერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკერზე

დილამ ტოროლას ფრთები გაშალა,
— აბა, ჩასხედით! მალე და ჩქარა!
ტანკერმა ღუზა ამოამშრალა.
და წასვლის მეტი არა დარჩა რა.

განშორება და გულის ფათქუნი,
განშორება და ფიქრების დასტა.
უკვე მომინდა ჩემი ბათუმი,
მზე და ცისკარი ლენინის მთასთან.

მაგრამ მიარღვევს სივრცეს ტანკერი,
არ ეშინია ღამის და ბინდის.
იგი შორეულ სავალს გასცქერის,
წარბშეუხრელი მიდის და მიდის...

მერე უჩუმრად ცა იბზარება,
ხატავს ღრუბლებში მთებსა და ხრამებს,
ტალღებს დაადნა ღამის ზმანება
და განთიადი თვალს ახამხამებს.

მერე დაიძრა თვალწინ ოდესა,
ათასი ძველი ღელვა და შფოთი.
გულზე მომეშვა, როცა მომესმა,
რომ გზას დაედო ზღვარი და პორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვისპირას

სდუმს დანისლული ფრიალო,
შველთახევი და ორკარი,
დაბლა ზღვა ნელა ხმიანობს
ლაღი და შეუბრკოლავი.

მთის ღელეები ღელავენ,
ზღვაში ჩივილით ჩარბიან.
ღელეს არ უყვარს სიბნელე,
ანკი რაღა დროს ჩადრია!

ზღვაური არხევს ნარინჯებს,
ტალღა მიმოდის ფათურით...
და იქვე, ორ-სამ ნაბიჯზე
დილას უღიმის ბათუმი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარიშხლის შემდეგ

ჩაფიქრებული დგანან ხეები,
დალეწილ ტოტებს არხევენ ზანტად.
მძლავრი ქარიშხლის მკაცრი ხელებით
მოსხეპილ ფოთლებს
ზღვაური ფანტავს.

სოველ სილაზე ნავი აგდია
და მებადურის უთევზო თოფრა,
გამოურიყავთ ტალღებს ავდრიანს
მძიმე აბბავის
უსიტყვო მთხრობლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი და მოქალაქე

თუ ათასკეცი ცათა სამყარო
ოცნებით მაინც არ დაგივლია,
თუ მარსიც არ ვსურს ისე ახარო,
როგორც მიწაზე ვარდ-ყვავილია,
სხვათა ტკივილი თუ არ აგწვია,
არ ცდილხარ შველას და დაამებას,
თუ გულის ნაცვლად მკერდში ღვარძლია,
ჭოტივით ელი დღის დაღამებას, —
რა პოეტი და მოქალაქე ხარ?
მაგრამ თუ ქვეყნის საკეთილდღეოდ
ისე ტრიალებ, ვით ქროლვა ქართა,
იმისთვის იღვწი,
იმითი მზეობ
და ეს მიგყვება სამარის კართან,
როგორც კაცური კაცის საგზური,
თუ ქვეყნის ვულში თამამად შეხვალ
შრომით და ჯაფით ისე დაზმული,
რომ შენით შეძლოს სამშობლომ კვეხნა, —
მაშინ ნამდვილი პოეტი ხარ და
მაშინ ნამდვილი მოქალაქე ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დამძრახავთ

ნუ დამძრახავთ, თუ ჩემს ამბავს ნოვყვები.
მე და ფიქრი ვართ დიდი ხნის მოყვრები.
ამ სიძველემ დამიღარა ლოყები,
შუბლზე წლების დამაყარა თოკები.

ო, ცხოვრებავ, აბა, შენი რა მმართებს?
მაჭიდებდი ხრამებსა და აღმართებს,
ახლა — ბარში...
აღარ ველტვი მაღალ მთებს,
დავმორჩილდი დაბლა კაცს და არა ღმერთს.

გულო ჩემო, დაცხრი, ნუღარ ტოკდები.
გულო, ნუ ხარ სურვილშეუმოკლები.
თორემ, ვიცი,
ასე დაუოკები
ღელვაში და ფორიაქში მოკვდები...
თუ —
მკვდარი ხარ, როცა აღარ ტოკდები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგამი

ციდან სტრიქონი მესროლა მთვარემ,
მიწიდან — ცვარმა, ვარდმა და ნერგმა.
შენ თქვი დამწერი,
შენ თქვი დამწერი,
თორემ
ლექსები სავსეა ყველგან.
ბოლო არ უჩანს ჩხრიალა რითმებს,
თითქოს მარულა გამართა მუზამ.
ჩქარა, კალამი!
დრო აღარ ითმენს
დავიჭერ.
დავწერ...
რაღაცას ვუზამ.
ვიცი, ლაგამი არ უყვარს ლექსებს,
რითმაც ჯიუტი არის და ურჩი.
და მაინც ვარჩევ —
ბალა რომ შესწევს,
ყღერდეს ხალხის და მამულის გულში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი

გახუნებულა ჩემი პირიმზე
და მეც სიბერემ აღარ დამზოგა.
არ გამიღიმო, შენი ჭირიმე,
არ გამახსენო ახალგაზრდობა.
დამცხრალა გული, ელვა და ჭექა,
მართლა წუთია თურმე საწუთრო.
სულში ნაღველი ღრმად ჩაილექა
და დროა თავი დავისაკუთრო.
ვიქნები ჩემთვის.
და თითქოს გძულდე
არც სიბრალული გქონოდეს ჩემი,
დადუმებულ და უგრძნობელ გულზე
არ დამაწვეთო კურცხალი — ცრემლი.
რა ვუყოთ!
დიდმა ტრფიალმა იცის
ცრემლი, ოხვრა და გოდება უხმო...
შენი ტკივილი შენს უფრო მიმძიმს,
რატომ დაგსაჯო და შეგაწუხო!
ჩვენ ხომ ბუნების ვალს ასე ვიხდით,
ეს ხვედრი მოდის დღეთა ტივებად...
ცოცხალმა ზიდოს სიცოცხლის ტვირთი,
მკვდარს კი ბევრი რამ ეპატიება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცური სიცოცხლე

რა ჭრელია თურმე ხალხი!
გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი.
დავდივარ და წარბსაც არ ვხრი,
არც ვინმესთან ბოდიშს ვიხდი.

ზოგი მწამს და ზოგსაც ვწამვარ,
ზოგი კაცად სულაც არ მწამს...
მოვა დრო და ყველა წავალთ,
ერთი მიწის ჭია დაგვჭამს.

და ეს ჟამი როდის მოვა —
არ ვწუხვარ და არ დაგეძებ,
არც წინდაწინ ვიცი გლოვა,
არც ვიმალვი სადმე სხვენზე.

მე სიკვდილზე ფიქრი არ მკლავს,
მან იფიქროს თვითონ ჩემზე.
მე კი ვლოცავ ბედის ვარსკვლავს,
რომ ამ დრომდე ყოფნა შევძელ!

ლექსისათვის სტრიქონს ვნასკვავ,
მზიან სმას და რითმას ვეძებ...
მე ვადიდებ კაცურ კაცს და
ვმღერი კაცურ სიცოცხლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გზაწვრილი

არა, არ წყდება ჩემი გზაწვრილი,
არც ვეძალები.
რა მეჩქარება,
გულში კვლავ მიზის ძველი ყმაწვილი,
ძარღვებში დაკრის ქარიშხალებად.

მესაფლავენო!
ხმალი ჩააგეთ,
გაუშვით ხელი ბარსა და ნიჩაბს,
მე ულეველი მაქვს სიჭარმაგე,
სათქვენო კაცის პირი არ მიჩანს.

თუმცა ბუნების ვარ მკვიდრი შვილი,
ამაოდ ფიქრობთ — კვირაძალია.
მე სიცოცხლისთვის ვარ გაჩენილი
და სასიკვდილოდ არა მცალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის სიახლოვე

მივაღწიე ასეთ დრომდე —
არც მშობლები,
აღარც და-ძმა.
შემიძლია მშვიდად მოვკვდე,
არც ბევრ ვინმეს გული დავწვა.
არც გვირგვინი,
არც მუსიკა,
არც ზარი და მოთქმა ძველი!
სხვის საფლავზეც კი გულს მიკლავს,
უთავბოლო ბოდვა გრძელი.
ისე წავალ, როგორც მოველ,
თან წავიღებ ობოლ პწკარებს.
სხვა — რაც მრჩება,
რასაც ვტოვებ,
უჩემოდაც გაიხარებს.
ყველა
მზეს და სითბოს პოვებს,
წყაროს წყალიც იწანწკარებს,
ზამთარ-ზამთარ თუ ითოვებს,
გაზაფხულიც მოვა მწვანე...
...თურმე მიწის სიახლოვეს
ეს ფიქრებიც ახლავს მწარე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო

წამი რა არის,
წელი რა არის,
როცა სიცოცხლით სავსეა თასი!
მაგრამ ლოდინი გრძელი არ არის,
არც გამოცანა ძნელი არ არის —
დროს სიკვდილის წინ ეძლევა ფასი,
სიკვდილმა იცის სიცოცხლის ფასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს — შრომა და მშვიდობა

ახალ წელს გილოცავ, სამშობლოვ
ძვირფასო მამულო, დედულო,
მუდამჟამს შიგ გულის სიღრმეში
სითბოდ და სიცოცხლედ დებულო!

შარშანდელ მიღწევებს ვინ დათვლის,
ახალ წლის სურვილებს რა დალევს!
და ნაირფერობა იმათი
მე იმათ ჩამოთვლას მავალებს:

მთავარი სურვილი — სიახლე
ყველა სხვა სურვილის დედაა,
იცვლება გაცლილი გზის სახე
და უფრო ნათელი ხედაა!

და მოდის მატება,
მეტი წარმატება,
მეტი შემართება,
ახალი ღონე და ძალი,
ახალი ძიება,
ახალი მოძიება,
ხალისის ახალი ზღვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღი და ახალი
აზრი და ზრახვანი,
ახლისკენ ახალი ლტოლვა,
ახალი საქმენი,
ახალი სათქმელი
ახალის მიგნება და პოვნა!

თუჯი და ლითონი
სამაგალითონი,
ტემპები, ჭედვა და დნობა,
მადანი, სამკალი.
ურო და ნამგალი,
სოფლის და ქალაქის ძმობა.

ახალი მოსაქმე,
ახალი მოსახლე,
ახალი სახლი და კარი,
მშვიდი და მაშვრალი
სამშობლოს ჯავშანი —
საბჭოთა უძლევი ჯარი!

დარჩება ძველთაგან,
ახალი გაგებით,
ახალი ღელვა და
ახალი ჰანგები —
შოთა მსოფლიოდ მოსიარულე!
მამულის მთა-ბარი,
ერეკლე, თამარი,
ზნეობა მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გული ალალი —
გული სამშობლოს მოსიყვარულე!

მაშ, ძმებო, სიახლე უწყვეტი,
სიახლის მუდმივი დინება!
ახალ წელს — ვადამდე ხუთწლედი,
დოვლათი ცათამდე ზვინებად!
სამშობლოს — შრომა და მშვიდობა,
წინსვლა და აღორძინება!
შრომის გმირს
ლენინურ კომკავშირს —
შენება დაუღლელ შრომაში!
ლენინის პარტიას,
კომუნის განთიადს —
მადლობა, ვაშა და დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი

ცის აღმოსავლეთს ცეცხლი ედება,
მზის გამოჩენას ალბათ მთა უშლის.
ნისლსაც მოსწყინდა ლოცვა-ვედრება
და ხევში ღელავს ღელის ხმაურში.
მალე ბუჩქებში სიო ფრთას გაშლის,
უხმო ფოთლებთან გაიშაირებს.
ცვარი ციმციმით კრძალვის ფარგალში
მძივებს შეაბამს ყელზე ყვავილებს.
უკვე მოხატეს მწვანე ქედებმა
განახლებული მიწა ბებერი
და სვებედნიერ მამულს ედება
მზისა და შრომის სადიდებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერად იქცა

ჩვენი წარსული? ნუ მეკითხებით!
ცეცხლს დაებუგა მთა და ველები,
იბრძოდნენ უხმლოდ,
იბრძოდნენ ხმლებით
კახაბრები და არაგველები.
ჩვენი წარსული? სცლიდნენ მარჯვენას
ოფლით,
ბოგინით და გაჭირვებით,
ბედს იწყევლიდნენ, თავს და გაჩენას
თურქეთს წასული მუჰაჯირები.
ჩვენი წარსული? ვაგლახ, როგორ ვთქვა,
ბოღმა მოედო გულს მარწუხივით, —
იყო გასაყიდ ლამაზ გოგოთა
ერთი მოთქმა და გულისწუხილი...
ახლა? ო, ახლა გაგვიხარია,
როგორც არავის ჯერ ქვეყანაზე,
პურის ხვავია,
თუჯის ხვავია,
ცხოვრების შნოა და სილამაზე.
ახლა? სიმღერაც სიმღერად იქცა,
მთა-ბარი მზეთა დანაკოცნია.
შენ შემოგევლე, მშობელო მიწავ,
ეს ნათელი დღე მომილოცნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ წინაა ხუთწლედი

მუშა ხარ თუ მხვნელ-მთესველი,
მებაღე ხარ თუ მჭედელი,
ეზო-ქუჩის ხარ მწმენდელი,
თუ სახლის აგყავს კედელი,
იცოდე დროის მიგნება,
შვილო, დაო და ძამია.
საათიც წამით იქმნება
და ზღვაც წვეთების ჯამია.
დავდგეთ პარტიის გარშემო
ძალ-ღონის დაუზოგავად!
დღეს ჩვენი ხალხი აშენებს
ქვეყნის ბედსა და მომავალს.
ნორჩი ხარ? რაა სადარდო.
ხუცდები, ნუ მოხუცდები.
სულყველაფერი გადავდოთ,
სანამ წინაა ხუთწლედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამი, წუთი, საათი

ერკინება რკინას რკინა —
მოტორი და ჩაქუჩი.
თუ ერთერთმა რამ იტკინა
და შენც წამით ჩაყუჩდი...
  წამი, წუთს ქმნის, წუთი საათს,
ასე მიდის დღე-ღამე,
და, ამრიგად, ქვეყნის ზარალს
ვერც კი დავთვლით შენ და მე.
საათია ბევრი სახლი,
წუთი — ქვა და აგური,
წამი — მწვანე ტევრისათვის
ათასი ხე დარგული!
და მომავალს თუ კი ცდილობ,
შვილო, ძმაო და კარგო,
წუთიც კი არ გააცდინო,
წამიც კი არ დაკარგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახუნცეთში

აღმართს ახვალ,
დაღმართს ჩახვალ,
არ გწყინდება შარა გრძელი,
ყველგან ამხდარ ზღაპარს ნახავ,
ყველგან ახალ ზღაპარს ელი,
ყველა ღიმილს გული ახლავს,
ყველა ჭიშკარს — მასპინძელი...
და მახუნცეთს როცა გახვალ,
ეაკვირდები, განცვიფრდები.
ამ სოფელში ყველა ეზო
სიცილია ცრემლმომდენი,
უზადო და უმიზეზო
სინათლეა ესოდენი,
არც ულხინოდ, არც ულექსოდ
პურს არ გატეხს მეზობელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის სურნელი

ზამთარს ყავლი გაუვიდა,
მოხდა სხვა სასწაული და
თებერვალი დალია.
სიხარული აგუგუნდა,
გულს უზომო ლხინი უნდა, —
გაზაფხულის ბრალია!

როცა იამ სითბო იგრძნო,
თეთრი თექა გადაიძრო,
გააღვიძა ენძელა.
მანაც გულით გაიხარა,
წამსვე მზისკენ გადისარა —
ძველი ყოფა ეძველა.

ჯერ ნელა და მერე ცქაფად
ველ-მინდორი გაიქაფა —
ყვავილებმა დაფარეს.
აჭიკჭიკდა მთელი დილა,
ეს — მერცხალი მოფრენილა
და გაზაფხულს გვახარებს.

კვირტმა კვირტებს, ცვარმა ნიავს,
ვარდმა ჩია-ჩიტუნიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიულოცეს მზის მოსვლა.
ლხენა, სტვენა ყველა მხრიდან,
გაზაფხულის სურნელს ღვრიან
ტყემალი და მიმოზა.

სოფელს მწვანეკორდებიანს
სიხარულად მოსდებია
ლაღი შრომის ალმური,
გუშინდელზე უკეთესად
წმენდს და ბარავს, ხნავს და თესავს
ჩემი ტურფა მამული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლი — ხნულში

გაზაფხულში — თესლი ხნულში!
ასე სწამდა მამაჩემს,
ზეგანს ხნავდა ნაციხურში,
მერე ხნავდა დანარჩენს.

დათესავდა, დაფარცხავდა,
კიდევ ჩამოუვლიდა —
თესლი ზეზე ტყისქათამმა
არ მოჩხრიკოს ხნულიდან.

თოხის პირით ჩათოხნილი
ჰქონდა ყველა კუნჭული,
ყურს უგდებდა ჩაჩოქილი,
ესმა თესლის ჩურჩული.

შეჰყურებდა მხოლოდ ცალ ხარს,
უცალებდა მეზობელს...
ოი, მამავ, ახლა სად ხარ —
ჩვენი შრომა გესმოდეს!

მანქანები კრეფენ, მკიან,
ტრაქტორს მიაქვს ბელლისკენ...
დღეს გლეხს მართლა კაცი ჰქვია
რა ცხოვრებას ვეღირსეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის ზეიმი

ხელხვავი მოედო მთებს ცაში აჭრილებს,
ხალისმა მოიცვა მთა-ველი.
მტევანი ქარვასაც, გიშერსაც აწბილებს,
ტაროა — არსენას მტკაველი.

ჭურია — რა ჭური,
კალოა — რა კალო,
მარანი, ნალია, ბეღელი...
ოღონდაც მოსავალს როგორმე აკმარო
საწნეხი და „სუდაბეკერი“.

მინდვრებში ხვავია,
ყანებში ხვავია —
სიმინდი, სენაჟი, სილოსი.
მშრომელის მარჯვენას და გულს უხარია
სიუხვე პურსა და ღვინოში.

მწვერვალზე იცინის ცა წითელლოყება,
ზეიმი ჩადდება ორწილი.
ისარე, მამულო!
ამ ზეიმს მოჰყვება
დიდება, ლხინი და ქორწილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომის დიდება

მერცხალი შრომობს — ბუდეს იკეთებს,
მღერის, იშრომებს და კვლავ იმღერებს.
მომავლისათვის თესავს სიკეთეს —
შვილს ზრდის, ბუდეში ყელს რომ იღერებს.

შრომობს ცოცხალი არსი ყოველი —
ვინ შეუგნებლად, ვინ შეგნებულად.
აბა, თავისით სად რა სოფელი,
სად რა ქალაქი ამენებულა?!

გიყვარდეთ შრომა მკლავმადლიანი,
კაცის კაცობაც შრომით ვლინდება.
შრომამ შექმნაო ადამიანი.
შრომას ვაშა და შრომას დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა სილამაზე

თუ შენ შენი კუთხე
შრომით დააკურთხე,
შიგ ქვა არის თუ ხე
ოფლით დაამწუთხე,
გიჭირს — არ აწუხებ,
უჭირს — მტკივანს უხვევ,
მაშინ ბებერ მუხებს,
ლექსსაც შეაქუხებ;

თუ ცალ-ცალკე ყველა
საშობლოსთვის ვღელავთ,
ჩვენ-ჩვენს უბანს ვხედავთ
და ვსპობთ სარეველას, —

მაშინ პლანეტაზე
და მთელ ქვეყანაზე —
ხმელეთზე თუ ზღვაზე,
მიწაზე თუ ცაზე —

მოვა სილამაზე
ყვავილებით სავსე,
სიყვარულით სავსე,
სიხარულით სავსე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადიდებელი

ჯერ კიდევ მაშინ, ძველად, ჩვენამდე,
სიცოცხლისა და მზის გაჩენამდე,
აღუნუსხავი პირველი წლიდან
დრო იყო,
წელი წელიწადს ცვლიდა.

ჩვენ კი მოგვბეზრდა დროთა ტაატი,
დღეს საუკუნეს უდრის საათი.
და გამოვჭედეთ ჩვენი ქვეყანა,
რომ ახალი მზე ამოგვეყვანა...

არ ჩამოვრჩეთო — ყვირის ქარხანა,
ჩვენც გვიმღერეთო — გუგუნებს ჰესი.
გლეხმა ბეღელში პური ჩაყარა
და სხვა მოსავალს დაუბა ფესვი.

კვირტებს ისევენ ჩაის ბუჩქები,
ღონეს იკრებენ ფორთოხლის ხენი,
მზეს უღიმიან ყინვის ურჩები
და ზვარს ლოცავენ მევენახენი.

მთვარე ხელს გვიქნევს ნათელი ციდან,
ცხრა ზღვას სერავენ გემები ჩვენი,

ხარობს თბილისი,
ხარობს მთაწმინდა
და ლექსი გალობს ბულბულის ენით,
ისმის ამ ქვეყნის სადიდებელი
და მთელი ერი
სვებედნიერი
უფრო ნათელი მომავლის რწმენით
მოწოდებას და მადლობას მღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული მაღლდება

შრომაა ბატონი სოფლად თუ ქალაქად,
ქვეყანა ცხრა ფერით მოხატა.
სიავის ალაგას
სიკეთე გალაღდა,
მიდამო აქცია ნოხადა.

სინდისის, ნამუსის და შრომის თანხლებად
მზიანი დღეები მოჰქრიან,
ძველი ხომ ახლდება,
და ისიც ახდება,
ჯერ კიდევ ოცნება რომ ჰქვია.

შრომა და მშრომელი მწვერვალებს გადიარს,
მამულიც მაღლდება, დიდდება.
ამ შრომას მადლიანს,
ამ შრომის გვარდიას —
დიდება, ვაშა და დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ახალგაზრდეგია

ნახავ, ისეთ ღიმილს გაშლის —
ქალი იყოს გინდა ვაჟი,
თითქოს დილის მზეა ზვარში
და ნათელი გარიჟრაჟი;

ნახავ — სპორტულ რეკორდებში,
მაღაროს და ქარხნის ცვლაში,
მწვანე მინდვრად, ტყიან მთებში,
ვარსკვლავების გვერდით ცაში;

ნახავ — მიწის ბნელ წიაღში,
წერაქვით და წიგნით ხელში,
ანდა ბაღში, გზაში, ზღვაში,
სამშენებლო ქვით და ხრეშით...

ეს სამშობლოს შნო და თვალი,
მისი გულის ვარდებია,
ჩვენი ცვლა და მომავალი,
ჩვენი ახალგაზრდებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათაული

მთვარე ლაჟვარდში ისე გაგორდა,
თითქოს პერანგამ გაჰკრა თავური.
მთებს შეესია ათასი ოდა —
ჩვენი სოფელი ბარათაული.

კლუბში დაიძრა მწყობრი სიმღერა
ხევიდან მთისკენ აიალმართა,
ქალიშვილების ცქრიალა მზერამ
მთელი მიდამო გადაანათა.

ოი, ამ სოფლის შვებავ და ლხინო,
ყანავ, ბაღო და ჩხავერის ღვინოვ,
მწვანე სერების ფუნჩულა ნისლო,
ღიმილით სავსე დიასახლისო,
კაკლის და ნაძვის ტოტო და ჩრდილო,
ტარიელაძის ცამეტო შვილო,
მთებში მოსულო მზიანო დარო,
გაცოცხლებულო ვაზო და ზვარო,
ქალო და ვაჟო ტბილმოუბარო,
ხალხო სვიანო და წელმაგარო,
თოფჩიშვილების კამკამა წყაროვ...
ოი, სოფელი დაუვიწყარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა თქვენი ნალვაწია

საბჭოეთის დიდო ხალხო,
გმირთა გმირო ხალხთა შორის,
დედამიწის საამაყო
შემოქმედო ლაღი შრომის.

რაც ბაღია და ვაზია,
რაც სახლი და დარბაზია,
რაც კარგი და ლამაზია —
ყველა თქვენი ნალვაწია.

რაც სხივები შეგვსევია.
რაც კაცური წესებია,
რაც სიკეთის ფესვებია —
თქვენი დანათესებია!

თქვენ ასწავლეთ ბრძოლა ხალხებს,
დაუსახეთ გზა და გეზი
და მსოფლიოს რომ უნათებს,
თქვენი მზეა უნათლესი.

ამ პლანეტის თქვენ ხართ ეშხი
და ჯავარი მიდამოსი.
თქვენ — დიდება და ეს ლექსი,
გამარჯვების მისალოცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ნება

მე ვარ ღარიბულ ქოხში გაზრდილი,
დამყვა მართალი კაცის ბუნება —
მწამდა მიწა და დედის მანდილი,
სხვა საფიცარი არ მეგულება.

ყოველთვის მსუყე იყო თუ არა,
მიყვარდა ჩემი ლუკმა ალალი,
პური — გაცრილი, ღვინო — ანკარა,
სუფთა ბეღელი, სუფთა მარანი.

რაც კი მქონია — მოუპარავი,
ჩემი ნაშრომი ოფლით ნაბანი,
სხვის საცლს მერჩია, ჩემი კარავი,
სხვის ატლასს — ჩემი ნარმის საბანი...

შენ რა? მისმენ და გულში იცინი?
შენთვის მელის თავზე სახარებაა.
მხარს აგიბამენ, ალბათ ისინი,
ვისი ოცნებაც ანგარებაა.

ქირქილებ, როცა ამას გიყვები,
შენი გაქვს გეგმა და ანგარიში.
ფიქრობ: „ბევრია ქვეყნად ბრიყვები,
ილაპარაკეთ, მე ხელს არ გიშლით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ არ გვიშლით! თქვენ ხომ არ შრომობთ,
თუმცა გაქვთ შრომის ყველა პირობა?
როგორ დაგითმო დედა-სამშობლომ
ეს ღალატი და დეზერტირობა!

კაცობას რატომ უნდა არცხვენდეთ
და უქმად იყოს თქვენი მარჯვენი?
როცა ქვეყანას უნდა არჩენდეთ,
თქვენ რატომ გასდით ქვეყნის სარჩენი?

თქვენ გვაიძულებთ თქვენი სიავით,
გვყავდეს მსაჯული და მოსამართლე,
რომ დავუბრუნოთ ადამიანებს
ის ყოველივე, რასაც თქვენ ართმევთ.

კაცური კაცის გზით მიაბიჯებს
ქვეყნის ერთგული უმრავლესობა,
ვისაც თქვენი ზნე და სიმახინჯე
ბაჯაღლო გულში ეკლად ესობა.

და თქვენც ისმინეთ ეს მოწოდება —
შრომა, შრომა და პატიოსნება!
ამას მოითხოვს სამშობლო — დედა,
ამას მოითხოვს პარტიის ნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელვაჩაური

ჩემს სიხარულს კახაბერიც ინაწილებს,
ფორთოხლებში ელურტულებენ ჩიტუნები,
ხეივანი ფოთლის ტაშით მიმაცილებს,
სალამს ამბობს მოღიმარი ჩიქუნეთი.

ვინც კი მხვდება — ჭაბუკივით მოაბიჯებს,
მოხუცებსაც ლოყა უგავთ თურაშაულს,
თვალს ვერ მოსწყვეტ მოსრიალე გოგო-ბიჭებს,
ლამაზ მთებს და აყვავებულ ხელვაჩაურს.

დღე რომ თვალსა და ხელს შუა გამიფრინდა,
სავსე მთვარემ მოვერცხლილი ცა მოისხა.
ნეტავ, სოფლის დატოვება აღარ მინდა,
თუ გზაშარა დავიწროვდა წამოსვლისას?!

მაინც წავალ, თუმცა ძლიერ მენანება:
როგორ დავთმო ეს გული და ეს სოფელი!
მაპატიონ მაყვალთვალა მანანებმა
ეს ლეკსი და გულჩვილობა ესოდენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებელი

ქუჩა ქუფრია,
ხევი გეგონება.
ჩქამიც არ ისმის მდუმარე ღამეში.
ზღვა დამცხრალია,
ქარს არ ემონება.
წევს და იცოხნის — ბებერი კამეჩი.

მწკრივში ჩაბდგარან, თითქოს მესერია,
ფორთოხლით საცხე მთები და სერები.
გარეუბანში ლაჟვარდს შესევიან
ამწის ხორთუმი და ბულდოზერები.

ეს ვის არ ახსოვს
ბინა-გასათევი
და რას დაეძებს ფერნაკლულ მთვარეში?
ნახა ცემენტი, ხე ტყე, წყალსატევი,
ხელით შეეხო, გულით და ალერსით...

გეგმა დიდია
შრომა ბევრზე ბევრი.
ძილშიც ფიქრები დაუდის ზვირთებად.
დილით — დილამდე დგება მშენებელი...
და ეს ქვეყანა საოცრად ირთვება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქედას ვიყავ

ქედას ვიყავ, ცასთან ახლო,
რომ აქ გული დავასახლო
და ყოველდღე, უთენია
ეს სიმღერა შემოვძახო:

რა მზე გიმზერს მოჩახჩახე,
ვენახი და სავენახე,
რა ბაღები, რა ყანები,
რა სახლი და რა სასახლე!

რა მზედიდი ზეწდიდია,
რა ცხმორისი, რა მერისი!
რა შრომა და ზეიმია
ჩვენი დროის საფერისი!

ზვარეს—ზვარი, ორცვას — ცვარი,
ძეწუმანს — მწვანე საპალახო,
ქედა — ჩემი საფიცარი,
ჩემი გულის სამოსახლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო

სარეველა ყანას თუ ჭამს,
ამას რაღა მოვლა ჰქვია!
ხვავს თუ კარგი პირი უჩანს —
კოლექტივის დოვლათია.

თავთავია, ბზე თუ ტარო —
ჩვენი იყოს რაც ჩვენია.
სხვას არავის გაატანო, —
ეს ქვეყანას ურჩევნია.

ტეხე, კრიფე, წარბს ნუ შეხრი
გვალვაში თუ ნამიანში.
შენი ეთქმის, როცა შეყრი
ბელელში და ნალიაში.

უნდა გქონდეს მარჯვე ხელი,
შესამუსრი უნდა მუსრო.
მოსპე ქურდი, ყალბისმქნელი,
მექრთანე და უნამუსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა კვირიკეში

ფორთოხლებში ღამე დადნა,
მზემ დაკოცნა მთა და ხევი.
კინკიშაზე განთიადმა
სულ დაწყვიტა არტახები.

სკურდამ სიო მოაფხიზლა,
ნისლი დადგა ბულულებად
და ტოროლას მოძახილზე
სტვენა იწყეს ბულბულებმა.

ჩაის ბუჩქიც აბიბინდა,
ცვარი გზინავს ანანთები,
გოგონებმა დილა მინდვრად
გაიტანეს კალათებით.

სახლი მღერის,
ეზო მღერის,
მთა ბარით და ბარი მთითა,
და სავსეა ეს სოფელი
სინათლით და ბარაქითა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაითურუი

ხეივნების ლურჯი ჩქერი
თითქოს ზენიტს ჰკვეთებია.
ცა — ფირუზი მტრედისფერი
მტრედის ნაპირკეთებია.

შრომის ბუღი,
ზღვარს და მიჯნებს
უტევს ქალი, უტევს ვაჟი.
და ხუთწლედი დააბიჯებს
ბინდია თუ გარიჟრაჟი.

გულს ახარებს ჩაის აწკარი
და უნარი ჩვენი მიწის.
შრომის ტემპი დაუმცხრალი
შეეხორცა ლხინს და სიცილს.

ლოყაა თუ ცეცხლის ალი!
გვეგონება გოგო იწვის...
აი, თურმე
ლაითურმა
დიდი შრომა როგორ იცის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მეზღვაურები

შტორმი არის და პირქარი,
თუ მოლივლივე ჩქერია,
შავზღველი მეზღვაურები
შავ ზღვაზე ასე ზღერიან:

გული — რკინა, მკლავი — სანდო,
ჩქარი სვლა და სწორი გეზი,
ზღვა — მამაცთა სანავარდო,
ზღვა — საგმირო ასპარეზი!

ღელვაა — შმიდტის ღელვაა
და ნახიმოვის კვალია,
ოქტიაბრსკის ოცალია ელვაა
და მისი ცეცხლის ალია.

და თუ ნისლია ჭაღარა —
ეს ზღვის ფიქრი და მშვენება,
შუქურამ იცის ნაღარა,
მეგობრობა და შველება.

გული — რკინა, მკლავი — სანდო,
ჩქარი სვლა და სწორი გეზი,
ზღვა — მამაცთა სანავარდო,
ზღვა საგმირო ასპარეზი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია ბარათები

ბულგარელ სტუმარს

თითქოს საკუთარ ეზოში გევლოს
და შენი იყოს ყველა ეს სახლი,
ისე დაივლი მთელ საქართველოს,
მაგრამ სტუმრობით ვერავის დაღლი.
ქართველმა იცის სტუმრობის ყადრი,
არც უმეგობროდ მღერის და ილხენს,
ჩვენში სტუმრის და მეგობრის ხათრით
რქას უკოცნიან ზვრებსა და ჯიხვებს.
მე ვიცი, თქვენი ქვეყანაც ასე
მუდამ კაცობით ყოფილა სავსე,
თქვენაც გიღვრიათ ოფლი და სისხლი
საუკუნეთა ეკლიან გზაზე.
ახლა დიდი მზის გვეღირსა მოსვლა
და მეგობრობის მივენდეთ ნამუსს.
ლენინმა ერთი ალამი მოგვცა
რუსთაველის და ბოტევის მამულს.
მაღლა გვეჭიროს ეს დიდი დროშა
კეთილი ძმის თუ ბოროტი მტრის წინ.
ლაღი შრომის და ბრძოლების დროსაც
გზას გვინათებდეს სიწმინდე მისი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელ მეგობრებს

აჭარავ, გახსენ წარბი და გული,
გახსენ კარები ოდის,
მოიხსენ, ზღვაო, ნისლი და ბური,
გულო, გაუძელ ლოდინს:
სტუმარი მოდის მონატრებული,
დიდი სტუმარი მოდის!

გუგუნი გვესმის გულგასახარი,
ძმათა სიმღერა გვესმის,
შევჩენკოს ფესვზე ამონაყარი
მოდის ღვართქაფი ლექსის.
იკურთხოს თქვენი ერის ჯავარი,
თქვენი მომავლის ფესვი!

უკრაინიდან საქართველომდე
ვარდით მოვფინეთ გზები,
ნახვის სურვილით სავსე გელოდნენ
ჩვენი მთები და ზვრები,
მოდით,
მობრძანდით!
თავს შემოგევლონ
თქვენი ქართველი ძმები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚ ᲞᲝᲔᲢᲡ

(შალვა იოსელიანს).

დგანან მონისლულ დილის ნიავში
მთები გადაცმულ პარტიზანებად.
ომის ბობოქარ სიმფონიაში
ლექსებია თუ მათი ზმანება!

მზე ამოიჭრა ოქროს ჩირაღდნად,
ბორცვებიც წითლად იმოსებიან.
ყველა ვარსკვლავი გაუჩინარდა —
გზა მისცეს შალვა იოსელიანს.

— ბიჭო, ლექსი და ვაჟა გიყვარდა,
ვაჟა მსოფლიოს მოასპარეზე.
როგორ მოგხიბლა ლექსის გიგანტმა,
რომ ახლაც თითქოს მთებში დაეძებ!

„ჭიუხებში და მთა-ველად
გათენდა, ირიჟრაჟაო.
სადა ხარ, ვაჟა-ფშაველავ,
სადა ხარ, ჩვენო ვაჟაო?“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი ლექსი

(ი. გრიშაშვილის გახსენება).

შენი ლექსი ცეკვავს, მღერის,
იაიას კოკორს უშლის.
შენი ლექსი მერცხლის ენით
ცვარს აწვეთებს ნაკადულში.

შენი ლექსი ყველა ფერის
ვარდს და ყვავილს უზის გულში,
შენი ლექსის შესაფერი
ფერებია გაზაფხულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი მგოსნები

ანა კალანდაძეს და ნანა გვარიშვილს

თქვენ და იამ ერთად გაიღიმეთ
და გაზაფხულს შეუმატეთ ეშხი,
როცა ამხდარ ნატვრასა და იმედს
მზე შეუძღვა გაღვიძებულ მთებში.

ანას ლექსებს ნანას ლექსი ერთვის —
ერთი ხმა აქვთ გუბაზოულს, ჭოროხს.
უწოვიათ ძუძუ ერთი დედის,
ღმერთმა ნუ ქნას და ნუ დააშოროს!

ქალი ვართ და ლექსი გვაქვსო ეთქმით,
იამაყოს პოეზიის მოდგმამ!
რა ხანია სათქმელი მაქვს ერთი,
ახლა ვამბობ და არც ვცდები ოდნავ.

გრიშაშვილი ხომ ლექსებში დადნა,
და არ მჯერა რომ არ დაიჯეროს:
ქალი თვითონ ლექსთა ლექსია და
იგი მხოლოდ ქალმა უნდა წეროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცური კაცი

(მემედ აბაშიძეს).

შენ ახლა ასი წლის იქნებოდი
და რამდენ რამეს შესძენდი მამულს
ჭკუით, რჩევით და შემოქმედებით,
საშვილიშვილოს, სამარადჟამოს !
სადაც იარე თუ იბინადრე —
ქართლში, ციხეში, უცხო მდელოში,
ყველგან აჭარის მთები ინატრე —
მთები მთლიანი საქართველოსი...
დღეს აჭარაში სულ სხვა მადლია,
მზეში ცურავენ აჭარის მთები,
არც შვილს, არც დედას არ უნატრია
ამაზე უფრო ნათელი ბედი.
დატკბა ის სული, შენ რომ აფხიზლე,
და ცხადი გახდა ნაყოფი შრომის,
ქართველი ხალხის ნადზე, ნადიმზე
აჭარელია პირველთა შორის...
შენ კი აღარ ხარ!
გამიშრა სიტყვა.
მაგრამ გიკოცნით ჩრდილსა და აჩრდილს!
შენ ხომ აჭარის ილია იყავ,
მოკვდი და მაინც უკვდავი დარჩი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი მეგობრები

(დიმიტრი გულიას).

აფხაზეთს უნდა წავიდე,
იქ მეგულება გულია.
წავალ, ამ ლექსსაც წავიღებ,
შიგ ჩემი წრფელი გულია.

ჩვენ ძველი მეგობრები ვართ
ძველი ძმადშენაფიცები,
ჩვენ ძველი მეომრები ვართ —
დაგვიცავს ჩვენი მიწები.

ერთი გვქონია მთა-ბარი,
ცხუმი და დიოსკურია.
გვყავდა შოთა და თამარი,
ძმობდნენ გალი და გურია.

მაგრამ რა იყო ის დილა
და ეს სინათლე ამდენი!
თითქოს შენ და მზე იმ დილას
ტყუპებად დაიბადენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთებში რაც დარდი ეყარა,
ნარდად აფრქვიე ქაღალდზე,
ერთ დროს უწიგნო ქვეყანა
წიგნის სამჭედლო გახადე.

მერე ჭაღარამ დაცისკრა
შენი წვერი და ულვაში,
და შენ ერს დარჩი საძირკვლად,
ცხოვრების ყველა უბანში.

გმადლობ და შუბლზე გემთხვევი,
შუბლზე, სიბრძნე რომ გიმოსავს.
ძმები ვართ, ძმურად გეხვევი
და საუკუნეს გილოცავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდბედიანი

სერგო კლდიაშვილს.

თოვლი მოსულა მთებში,
თოვას აპირებს ბარში.
მოდის ათასი თქეში —
წვიმის დოლი და მარში.

გადაფრენების დროა
და ვერ წაუხვალ ზამთარს...
მართლაც, რომ საწუთროა
და სიავეა ჟამთა.

მაგრამ საზომი სხვაა —
ჰკითხავს სინდისს და ნამუსს:
— ირგვლივ რომ საქმის ზღვაა,
გადაჰყევ ცრუ ჟრიამულს,
თუ არგე ხალხს და მამულს?

აქ კი ბატონო სერგო,
ნამდვილ ქუდბედი გერგო,
ქვეყნის ერთგული შვილი
მარად ცოცხალი ივლი.
ვინ თქვა დავითის ჯიში
და თან სიკვდილის შიში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარიტონ ახვლედიანს

ყველა ერს ჰქონდა,
მაგრამ ქრებოდა
ბევრი ხიხანი, ბანა და ტბეთი.
ქართლსაც დღემუდამ ემუქრებოდა
პატარა ერის ეს უღვთო ბედი.
მაგრამ ბუნება ერებსაც არჩევს —
რომელი მოკვდეს, რომელი დარჩეს...
და ქართლსაც კვალი აღარ წაშლია,
ამ კვალს გაუჩნდა ბევრი მოსარჩლე
ჯავახიშვილი და ჯანაშია!
შენც იმათ შორის და მათგანი ხარ,
იმათი გზებით მარჯვედ მავალი.
და გზას, რომლითაც მამულს არგიხარ,
კვლავაც გაჰყვება კაცი მრავალი.
მოვლენ ახალი კაცურკაცები,
შენს კაცურ სახელს შემოერტყმიან
ხელში და გულში აგიტაცებენ,
ტკბილ სამადლობო სიტყვას გეტყვიან,
შენ, რადგან ასე ეტრფი და უვლი,
არ დაგივიწყებს შენი მამული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნის იუბილე

(ვერა ბერეჟიანს).

ამ სტრიქონებს გზაში ვწერდი
მატარებლის ჯაჯგურში
და მივუსწარ ბოლო წერტილს
აქ, ლანჩხუთის სადგურში.

ეს რა ხალხი შეკრებილა —
ნათვლაა თუ ქორწილი?
არა, არა! ასე ტკბილად
ვერ მოილხენს მოცლილი.

ამ ლხინშიაც შრომა ისმის
და ნადურის გუგუნი.
შრომას ითხოვს ძარღვში სისხლი,
ხვნას და თესვას — გუგული.

ჩემო ვერა, შენ როგორ ხარ,
ხომ მზადა გაქვს კალათი?
ხომ გგონია, კვლავ გოგო ხარ,
გშვენის ჭრელი ხალათი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლილ ჭირს და ყოფილ დარდებს
დღეის ლხინს რომ ადარებ,
ამ ჭაღარის ყვავილ-ვარდებს
ხომ ამაყად ატარებ?

ჩემო ვერა! ვერ დაგღალოს
ვერც შრომამ და ვერც წლებმა.
მწვანე ოქროს ვრცელ მაღაროს
მიეც ღონე — შეძლება.

როცა შრომის მადლი გმოსავს,
ისე ნელა ხუცდები,
გაბრიელის შენთან მოსვლას
ოცი უნდა ხუთწლედი!

კვლავ დაივლი ქედს და ღელეს
დილის ცინცხალ ნიავში
და შენს მკერდზე გაიელვებს
პრიზი ყუფუნიასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელწყაროში

(თამარ ზედელაშვილს).

ბომბორს ლეგა ნისლი სწყდება.
და მზე მერცხლებს წამოშლის.
შვილზე ზრუნვით დაიწყება
 დილა წითელწყაროშიც:
დედა-ცხვარი ბატკანს ლოკავს,
ფური — ძუძუს აწოვებს,
აბა, კრუხი, სულ რომ მოკლა,
კვერცხებს წუთით არ ტოვებს.
 დედა-ჩიტი ბუდეს აგებს —
აწყობს თიხის აგურებს,
ოთხზე ნაკლებ კვერცხსაც არ დებს,
ზოგიც ხუთ შვილს აპურებს...
შენ რას შვრები, თამარ-ქალო?
მიხარია, რომ ფართქალობ
კოხტად, სადად, შილიფად,
მამულს რა სჭირს სამოწყალო,
მაგრამ იგი თუ გიყვარს,
რატომ უფრო არა სწყალობ,
რატომ არა ქართველქალობ —
მარტო სამი შვილი გყავს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდიში

არ ილევა გზა და შარა
ალვის ხეთა შრიალში,
„დიო ჭიჭე ვორექ, მარა...“
ასმათ ხაზალიასი.

არ ილევა მოგონება —
ყმაწვილობის მოტივი,
ორსანტიის გოგონები
ბროწეულის შოლტივით.

მაგრამ ახლა სად მცალია —
წარსულს მივცე გონება!
გარეთ შრომის ხანძარია
და დოვლათი გორებად!

კლდეებს კაცი შესევია
და ჩეგვალას ირემი,
ძველს — ალიოს ლექსები და
კონსტანტინეს გმირები.

ახლაც არის ჩელა, კუსკა,
და ვერ ეტყვით მარჩენალს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპეური ენგურს უსკვნა
ჩვენი ხალხის მარჯვენამ.

დღეს ბედნიერ დღის დასტურად
სულს გვიტკბობენ კორდები,
ოდოია, სისა ტურა
და ოდიშის ოდები.

ყველა ვწერო — არ მაქვს ფერი,
არც კალამი სამწვერი.
ალბათ, მოვა შესაფერი
მესიტყვე და დამწერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ აბაშიძეს

პირისპირ დგახართ ბიჭები —
ორივე რკინისმკვნეტელი.
კლდე არის შენი ბეჭები,
და მკერდი — ტინის კედელი.

მეტოქეც არის ძლიერი,
განა სუსტი და უღირსი!
და შენ აძალებ იერიშს
ქართული სისხლის დუღილში.

მერე დასტაცე მარჯვენა,
მხარით შეაგდე ჰაერში,
ცალ ფეხს დააწექ საბჯენად,
მეორის მუხლზე დაეშვი.

ხვნეშამ დუმილი გახლიჩა
ათასი თვალის დავაში
და ის მეტოქე ხალიჩას
გაეკრა, როგორც ლავაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებლიე ღიმილი

ბიჭო, გონება გამეხმიანა
და უნებლიე ღიმი მომფინა,
ცხოვრება მარტო ლხინი კი არა,
ფიქრიც არის და დარდიც ყოფილა.

მე მინდა თვალებს შეუშრობელი
ცრემლის დუღილი ჩამოვაცილო,
და ვამაყობდე შენი მშობელი,
შინმოუსვლელო ვაჟკაცო შვილო!

აკი არსებობს კიდევ სიკვდილი,
რომელსაც უნდა ეცეს თაყვანი:
მამულისათვის დიდი სიკვდილი,
გზა უკვდავების გზაზე გამყვანი!

სწორედ მომკლავდა ნაღველი მაშინ
და მომიკლავდა სულს სამერმიოს,
იმ კაცთაკვლაში,
იმ სისხლის ზღვაში
ჩვენი სიცოცხლეც რომ არ ერიოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულს თუ ეწირები

ბიჭო, ერთი ხმა გამე,
მაცოცხლე და მაამე,
ველარც გიცნობ მგონია,
თუ ბუსუსა მოლია,
თუ ზედ ცვარის ბროლია, —
შენი სახე მგონია.
თუ სად მწვანე ბორცვია,
ყვავილს ფერი მოსვლია, —
შენ იცინი მგონია.
ელვის თუა ბრიალი,
ცის და მიწის გრიალი,
ეს შენ იბრძვი მგონია.
ასე ქუხდეს შენი ხმა,
შვილი ხარ და ჩვენი ხარ...
რა ვაჟკაცი მყოლია!
რომელ მიწას ვეწვიო,
რომელ მიწას ვემთხვიო,
რომელ წყალში გეძიო —
ნევაა თუ დონია?
უკრაინის ველზე ხარ,
სტალინგრადის გზებზე ხარ,
დაეცი თუ ზეზე ხარ, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა იღბალი გქონია!
გმირმა მეტი რა შესძლოს!
შენ იცავდი ჩვენს ეზოს,
სამშობლოს და მშვიდობას.
და შორს რომ ვიცქირები:
მამულს თუ ეწირები,
ეს უკვდავი სიცოცხლე,
უმაღლესი ჯილდოა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარძლო

და კარს მოადგა ერთი გოგონა,
თვალი—მაყვალი, ყელი — ყარყარა.
გაიცინა და ასე მეგონა,
ცისკრის ვარდები შემომაყარა.

შევცბი
და მკერდში გახურდა თონე.
შვილი?
უმისოდ რა გულმა გაძლოს!
ვაჟი აღარ მყავს...
აღარ მყავს თორემ
სად ვიშოვიდი უკეთეს სარძლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა და კვალი

ამ მიწას ვფიცავდი,
ამ მიწას ვიცავდი,
ამ მიწის სიცოცხლე მწადდა.
ნუ გამიჯავრდები,
რას გარგებს დარდები
ან ცრემლი ვინა თქვა წამლად!

უგზოდ და უკვალოდ?!
შენს ძუძუს ვუგალობ,
სულიც შენს ნატვრაში მხდება,
მაგრამ შენ მისვდები,
მეც გამოგიტყდები —
შინ ველარ მოგივალ, დედა!

ხოლო თუ თბილისზე
იფრქვევა დილის მზე
და მამულს უღიმის კრემლი,
ყველა ამ აისში,
ყველა ცხრა მაისში
გზაა და კვალია ჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყე

ცამდე აწვდილ მთას მიჰკვრია
გაზაფხულის ლეგა ნისლი...
ეს ნისლია თუ ფიქრია?
ეს მთაა თუ დედა მისი?
და მესაზღვრე შეიშმუშნა.
გულში თითქოს ხანძარია.
— მომენატრა... არა უშავს...
მაგრამ გუშაგს, სად მცალია!
ირგვლივ დგანან მწვანე მთები
და უმზერენ ზღვის ნაპირებს,
ჩვენ კი ღამით აქ ვსაფრდებით,
როგორც მგლებზე მონადირე.
ვერა, მტერი ვერ გადმოვა —
ვერც აშკარად,
ვერც ფარულად.
ეს ხომ ჩვენი მიდამოა,
ყვავილივით რომ დაფარულა!
იამაყე, ჩემო დედი,
რომ ეს ჩვენი მთა-ბარია,
რომ საზღვრის და ქვეყნის ბედი
ახლა შენს შვილს აბარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტს

შორს ანათებენ თეთრი კედლები
და ბევრი ნატრობს მიღწევას ბჭემდე.
აქ ჩვენი ერის ოქრომჭედლები
ქვეყნის ბედნიერ მომავალს ჭედენ.

აქ ჩემი გულის დიდი ნაწილი
ფეთქავდა სხვათა გულებთან ერთად,
მერე გაფრინდა იგი არწივი
ბრძოლად მამულზე მოსეულ მტერთან.

წავიდა,
და არ დაბრუნებულა.
ყუმბარა შერჩა მოქნეულ ხელში...
დღეს სხვა მართვენი დაბუდებულან
ამ კედლებში და ვარაზის ხევში.

ის კი პოსტზეა ქვეყნის საწინდრად,
არ მოუხდია ვალი და ჯერი:
მწვანე და წმინდა იყოს მთაწმინდა,
თბილისს შვენოდეს ვარაზი ჩვენი,
ნათელი გვქონდეს ეზო და ჭერი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელი მომავალი

ჩრდილოეთის ქარი ქროდა იმ დილით,
იყო ბრძოლა: სიცოცხლე ან სიკვდილი!
იყოს ისევ წელწყვეტა და წყვდიადი
თუ ნათელი მზის ზეიმი ზვიადი?

იყო ბრძოლა: ძველს ახალი შეება.
თებერვალმა დროშა წითლად შეღება
და ნანგრევზე,
განახლებულ მიწაზე
დაიბადა სიცოცხლე და შენება,
საბჭოები — ეს პლანეტის მშვენება!

ზამთარს გაპყვა სუსხიანი სიბნელე.
ნათელ დღეთა სადღეგრძელო ვიმღერეთ,
და ჩიტებმა გაზაფხული ისე თქვეს,
რომ მამულში ყვავილებმა იფეთქეს.

დღეს რომ გვათბობს და გვალაღებს — ეს მზეა.
მას ვერ მოკლავს ბოროტი და მავანი.
ჩვენ ავანთეთ...
ახლა ჯერი თქვენზეა.
წინ შრომაა და სიამე მრავალი.
კომუნიზმი — ნათელი მომავალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ არ კმარა

I

ნელი ზღვაური აშრიალებს
ზღვისპირა ბულვარს,
შენ ტკბები ამ მზის,
მიწისა და ცის სილამაზით.
აზალიები
ალისფრად ჩამწკრივებულან
და მაგნოლიებს ღიმილი აზით.
შენ გულს გიხარებს სამხრეთული,
ღია ცის კალთა
და ზღვის ხავერდი მოლივლივე,
გაშლილი ლურჯად,
ეშხის მომგვრელი კულულები
შავგრემან ქალთა,
და ისარივით გატყორცნილი
კრიალა ქუჩა.
შენ ძლიერ გხიბლავს
მარადმწვანე მიდამო ჩვენი
და ზღვის ნაპირთან
მიჯარული ზღვისფერი მთები.
შენს ქერა სახეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონების ღიმილი შვენის,
როცა ქალს თუ ვაჟს
მოფუსფუსე ქუჩებში ხვდები.
მაგრამ მე შეგხვდი...
წამსვე შეკრთი,
წარბი შეკარ...
ხომ არ გენიშნა
ჩემ სახეზე ძველი იარა,
ხომ არ გაცოცხლდა
ბრძოლის ველი,
ბზურა და სოპკა,
და მოგონებამ
შეგაშფოთა, შეგაზრიალა?
იქნებ ერთმანეთს
ომში შევხვდით ორი ყმაწვილი,
როცა სამი თვის ბალღი იყო
ცხრაას თხუთმეტი:
მე გაოგნებით
მოვდიოდი ხმალამოწვდილი,
შენ სანგრებიდან
ნაღმს და დუმდუმს ათუხთუხებდი.
იქნებ ყურს ქვემოთ
შენ გამავლე მოლურჯო საზი
და ხიშტი მკერდში
მე გატაკე
როგორც შურდული!
— ეჰ, რატომ? რისთვის?
სულს მიხუთავს ბოღმა და ბრაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა, მგონია, ყურთან წივის
შენი დუმდუმი.
ბევრი სიცოცხლე
ჩაიფერფლა და ჩაინისლა,
რამდენს წილად ხვდა
პროთეზები და ყავარჯენი!
რამდენს ხსოვნაში
ისე დარჩა ბზუერა და ვისლა,
როგორც ჩვენ დაგვრჩა
ჭრილობები — შენი და ჩემი!
ქვეყანა მორჩა
ნაბრძოლი და გაუტეხელი,
ჩვენაც მოგვირჩა
ის ნახმლევი და ნატყვიარი.
მაგრამ როდესაც
ნაიარევს მოსინჯავს ხელი,
გულში ტკივილი
შემომიტევს ოხერ-ტიალი.
ჩვენ, სალდათებმა,
რა ვიცოდით — ვისთან და ვისკენ!
ახლა სხვა დროა.
უტყუარად ქვეყანამ იცის,
თუ რად „უყვარდათ“
ხელმწიფეს და კაიზერს ქრისტე,
გულს როგორ „სწვავდათ“
სარაევოს მოკლული პრინცი!
და ისიც ვიცით,
თავს ჯალათი რად დაგვყიოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჰკათ! მოჰკალით!
ვინანებდით მართლაც ბოლომდი,
რომ ხალხს ლენინი
და პარტია არა ჰყოლოდა,
რომ ლენინის გზას —
სიმართლის გზას არ გავყოლოდით!

II

ომიდან მოველ.
ჩემმა გოგომ არ დამივიწყა,
ალერსით მითხრა
განაწამებს და გადარჩენილს:
— ეს რა დაღია,
როცა გლოცავს მშობელი მიწა!
ქალს ხალი შვენის,
მეომარს კი ნახმლევი შვენის!
(ასე კარგი და კეთილია მეუღლე ჩემი).
ნატვრა აგვიხდა:
ჩვენს სახელზე ფიცრული ჩანდა.
მიწით და შრომით
გლეხკაცურად ვიჯერეთ გული.
თანაც მზად გვქონდა
შაშხანა და საველე ჩანთა —
საბჭოს ვიცავდით
საბჭოებზე შეყვარებულნი.
მალე ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო აივსო შვებით...
(ვაიმე, შვილო,
შენზე სიტყვა მტანჯავს და მიჭირს!)
თუ გულს აქამდე მიხარებდნენ
სხვისი ბავშვები,
ახლა მეც მყავდა
თავქოჩორა პატარა ბიჭი!
შვილი — მემკვიდრე,
მამის გზის და კვალის გაგრძობი....
ვის არ ახარებს,
სიამაყით ვის გულს არ ავსებს!
და ჩვენც ვიხარეთ
უსასრულო,
მშობლური გრძნობით,
ჩვენ ფრთაშესხმული
დავფრინავდით ოცნების ცაზე.
დღეებს ვითვლიდით.
ო, პირველი ფორთხვა და გავლა!
მზეს ვადარებდით გაღიმებას,
თვალებს — ვარსკვლავებს.
ლამის გავგიჟდით,
ორი სიტყვა როცა ისწავლა,
უკვე აკვანში ვუზომავდით
ბეჭებს და მკლავებს.
მერე სკოლა და სიჭაბუკე —
ვარდობის წლები,
გულში რომ ჩიტი დაიბუდებს,
ვარდი და ია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ოცნების
რაშს მიაფრენ თავდავიწყებით,
ცა ქუდია და
დედამიწა ქალამანია.
მაგრამ იჭექა.
მიწა შეძრა ავმა გრიალმა
და მოიკუპრა სხივნათელი,
მზიანი დილა.
სისხლისღვრა იყო,
ჩვენ რომ ვნახეთ ისე კი არა,
მტერი აროდეს
ჩვენს შემუსვრას ასე არ ცდილა.
ჩემ შვილს ეძინა,
როცა ომის ხმები გაისმა.
ცერ-ცერად მიველ,
დავიხარე
უბადლო განძთან.
ყველა მშობელი
მშობელია პირველ ყოვლისა
და, რა თქმა უნდა,
არ იძრახვის მშობლური განცდა.
დედის თვალებზე
მწუხარების ცრემლი არ შრება,
ღა ვერც მის სიტყვებს
უსაფუძვლოდ ვერავინ ჩათვლის:
— მე შვილისათვის მიყვარს სამშობლო,
მე შვილი მიყვარს სამშობლოსათვის!
ძლივს ეს უთხრა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ვაჟი წავიდა ომში.
ის იქ იბრძოდა,
ჩვენ ზურგიდან შრომით ვშველოდით.
დავიღუპოდით —
არ გვებრძოლა ლენინის დროშით,
პარტიის დროშას;
წითელ დროშას არ გავყოლოდით!
ლენინის სიბრძნე
გვინათებდა სისხლიან საგალს,
ხალხი ლომს გავდა,
როცა ბორგავს ფაფარაყრილი.
ჩვენი სამშობლოს
სადიდებლად და დასაცავად
იყო ვაჟკაცთა
რკინება და გადაძახილი.
მამულთან ერთად
ღამეს ტეხდა კრემლში სტალინი,
სალუტებს წერდნენ
ფიქრით მოსილ მოსკოვის ცაზე,
შორს გამარჯვება
ციმციმებდა ნაპერწკალივით,
მტკიცედ რომ ვჭედდით
რწმენითა და იმედით საკვე.
და გამოვჭედეთ...
ძვირი დაჯდა ეს გამარჯვება.
ამ წმინდა ომში
დაიღუპა მებრძოლი ბევრი.
მსხვერპლი გაიღეს მოხუცებმაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოთო ბავშვებმაც...
ნახე ციფრები ყველა მთქმელზე
უხმო და მჭევრი.
შენ არ იცოდი —
რას გვიქადდა იმ წლის ივნისი,
ვერმახტის მარში —
თამამი და თითქოს უღლელი.
შენ არ იცოდი —
ბედნიერი ჩემი შვილისთვის
შენ შვილს მოჰქონდა
სამარცხვინო მონის უღელი!..
შვილი დავკარგე.
დაკარგულად მაინც არ ითქმის.
შენც დაკარგე და
ამას სწორედ დაკარგვა ჰქვია:
ჩემ შვილს
ქვეყანა კომუნიზმის მშენებლად ითვლის,
შენ კი მოტყუვდი...
და ამასაც ტყობილობ გვიან!
ახლა რას ფიქრობ?
გულღიად ვთქვათ,
ნუთუ არ კმარა,
ხალხი რომ გაწყდა,
ყანები და ბაღები მოხმა!
ზღვებს შეადგენდა
რაც ქვეყანამ სისხლი დაღვარა,
მიწას გახეთქდა
შვილმოკლულთა ცრემლი და ოხვრა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ვერ დავძლევთ
დამპყრობელთა ველურ ადათებს,
თუ ყველა ხალხი
ომს არ დაგმობს მის სამშობლოში,
თუ მშვიდობის და ძმობის დროშა
ველარ ავმართეთ, —
კაცობრიობა
მუდამ ივლის ომიდან ომში.
ისევ და ისევ გაჩაღდება
ომის ხანძარი,
დაღუპულ შვილებს
დაიდარდებს საბრალო დედა,
ომს კვლავ მოჰყვება
სისხლის ტბორი და ნიაღვარი,
თუმცა ზავი და
ნიურნბერგიც განმეორდება,
ჰოდა, ერთმანეთს
სამეგობროდ ჩავჭიდოთ ხელი,
ყური დაუგდე —
ცრემლიანი ღაღადი ისმის:
— დაე, დასრულდეს!
დაე, იყოს უკანასკნელი
ჩვენი შვილების
ნათელი და უმანკო სისხლი!

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე სიჭაბუკე	
მძიმე ხვედრი	3
ორი დედა	5
ხვალის იმედი	6
მ დ ი ნ ა რ ე ს თ ა ნ	7
გვიანი შემოდგომა	8
ი მ ე დ ი	9
გ ა ს ა მ ხ ე ლ ი	10
დილა მთაში	11
ს ი ზ მ ა რ ი	12
მ ს ჯ ა ვ რ ი	13
ნ ა ც ი ხ ა რ თ ა ნ	14
დედის ხმა	15
კეთილი გულის სიმღერა	16
ჩემი ყვავილნარი	17
არ დაივიწყოთ!	18
უ ჩ ი ნ ო ნ ი	19
სად გოგმანობ?	20
სიყვარულის რამაშა	21
მეხუთე სიჭაბუკე	23
მზე ხარ, ლენინ!	25
მ ე ე ზ ო ვ ე	26
თ ბ ი ლ ი ს ს	27
მამულის ერიამული	28
მთაში თქმული სადილაო	29
მშობელო დედავ!	31
სუფსას აჰყევ	32
შავი ზღვა	33
გახთიადი ზღვაზე	35
ზ ღ ვ ი ს პ ი რ ე თ ი	36
ტ ა ნ კ ე რ ზ ე	37
ზღვისპირას	38
ქარიშხლის შემდეგ	39
პოეტი და მოქალაქე	40
ნუ დამძრახავთ	41
ლ ა გ ა მ ი	42
გამოსათხოვარი	43
ქაცური სიცოცხლე	44
ჩემი გზაწვრილი	45

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის სიახლოვე	46
დ რ ო	47
შრომის სადიდებელი	
სამშობლოს — შრომა და დიდება	48
ს ო ფ ე ლ ი	51
სიმღერად იქცა	52
სანამ წინაა ხუთწლედი	53
წამი, წუთი, საათი	54
მ ა ხ უ ნ ც ე თ შ ი	55
გაზაფხულის სურნელი	56
თესლი ხნულში	58
მოსავლის ზეიმი	59
შრომის დიდება	60
მოვა სილამაზე	61
ს ა დ ი დ ე ბ ე ლ ი	62
მამული მაღლდება	64
ჩვენი ახალგაზრდებია	65
ბ ა რ ა თ ა ე ლ ი	66
ყველა თქვენი ნაღვაწია	67
პარტიის ნება	68
ხ ე ლ ვ ა ჩ ა ე ბ ი	70
მ შ ე ნ ე ბ ე ლ ი	71
ქედას ვიყავ	72
ს ა კ ო ლ მ ე ე ბ ნ ე ო	73
დილა კვირიკეში	74
ლ ა ი თ ე ბ ი	75
ქართველი მეზღვაურები	76
ღია ბარათები	
ბულგარელ სტუმარს	77
უკრაინელ მეგობრებს	78
შინმოუსვლელ პოეტს	79
შენი ლექსი	80
ქალი მგოსნები	81
კაცური კაცი	82
ძველი მეგობრები	83
ქ ე ბ ე ბ ი ა ნ ი	85
ხარიტოს ახელედიანს	86
კოლმეურნის იუბილე	87
წითელწყაროში	89
ო ბ ი ნ ი	90
როსტომ აბაშიძეს	92

გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი	
უნებლიე ღიმილი	93
მამულს თუ ეწირები	
ს ა რ ძ ლ ო	96
გზა და კვალი	97
ს ი ა მ ა ყ ე	98
თბილისის უნივერსიტეტს	99
ნათელი მომავალი	100
ნუთუ არ კმარა	101

Малазония Нестор Глахунович
ПЯТАЯ ЮНОСТЬ
Стихи
(На грузинском языке)
издательство «Сабчота Аджара»
Батуми, Гогебашвили, 24
1976

1

რედაქტორი ე. დ ა ვ ი თ ა ძ ე
მხატვარი თ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
მხატვ. რედაქტორი ჯ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ჭ ყ ო ნ ი ა
კორექტორი ე. ე მ ი რ ი ძ ე
გამომშვები ჯ. ხ ო ფ ე რ ი ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.3.76, ქაღალდის ზომა 70×108 1/32, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,9, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,03, შეკვ. № 870, ემ 01354, ტირაჟი 1.000.

ფასი 41 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბათუმის სტამბა, ლუქსემბურგის, 20.

Батумская типография Госкомитета СМ Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, ул. Р. Люксембург, 20

ეროვნული
ბიბლიოთეკა